



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030465810477014

№ 04-119/თ

24 / აპრილი / 2014 წ

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული “მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის” (დანართი 1.1) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტო დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული “მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის” (დანართი 1.1) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონლის მიმწოდებელ ორგანიზაციის (შემდგომში მიმწოდებელი) მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი 1).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმა და ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონებ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოში წერილობით მიმართვასთან ერთად, არაუგვიანეს საქონლის მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს სააგენტო ცენტრალურ აპარატში შესაბამისი მიმწოდებლისთვის მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული საქონლი ჯამურად გადასარიცხი ღირებულების გამოთვლის საფუძველს.

3. სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს:

ა) “დანართი 1”-ით წარმოდგენილი ინფორმაციის და ვაუჩერის შესაბამისი ტალონების შედარება, ინფორმაციი მიღების და სრულყოფილების დადასტურება;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ტალონების დაცულობა არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედები

პერიოდის შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში.

4. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალურ პროგრამების სამმართველომ (ვ. გაზდელიანი) უზრუნველყოს:

ა) საქონლის მომწოდებელ პირთა ინფორმირება და საჭირო განმარტებების მიწოდება ამ ბრძანების პირველ პუნქტით დამტკიცებული ფორმის და ინფორმაციის მოწოდების პირობების თაობაზე;

ბ) სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებასა და “მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.

5. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს ზ. სოფრომაძეს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 3 აპრილის N04-224/ო ბრძანება (შესაბამისი დანართით).

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ნ. ნ.

შევსების თარიღი:

პროგრამის დასახელება:

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამა
"მიტოვების რისკში ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა"

ორგანიზაციის დასახელება:

მისამართი:

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

N	აფთიაქი	ვაუჩერი N	სახელი	გვარი	ღაბ.თარიღი	მიმღების პირადი NN	მიმღების სახელი	მიმღების გვარი	თარიღი	თანხა

ხელმძღვანელი პირის ხელისმოწერა

ბ.ა.